განცხადებები მიიღება 2025 წლის 10 თებერვლიდან 14 მარტის ჩათვლით

დაასკანერე და გაიგე მეტი

ქ. ბათუმი მ. კომახიძის ქ. №119

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა

თუ გსურთ, აჭარაში სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარება სასოფლო - სამეურნეო საქმიანობის მიმართულებით, შესაძლებლობა გაქვთ მიიღოთ თანადაფინანსება.

განაცხადის წარდგენა შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე

- ბათუმი
  - აკადემიკოს მ. კომახიძის ქ. №119
- ქობულეთი
  - თავისუფლების ქ. №100
- ხელვაჩაური
  - დიდაჭარის ქ. №23
- ქედა
  - 26 მაისის ქ. №1
- შუახევი
  - სელიმ ხიმშიაშვილის ქ. №2
- ხულო
  - დ. აღმაშენებლის ქ. №3

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

+995 (422) 24 78 41

contact@moa.ge

დაფინანსება

თანადაფინანსების თანხა

საქონლის შესყიდვის საბაზისო ფასის

არაუმეტეს 70%-ს

ბენეფიციარის თანამონაწილეობა

არანაკლებ 30 %

არაუმეტეს 20,000.0 ლარი

წარმოსადგენი დოკუმენტაცია

- განაცხადი
- ინვოისი
- პირადობის ასლ(ებ)ი
- მიწის ნაკვეთის საკუთრების / იჯარის / აღნაგობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან)
  - იჯარის / აღნაგობის შემთხვევაში ამონაწერთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს იჯარის / აღნაგობის ხელშეკრულება
  - თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის შემთხვევაში, სხვა თანამესაკუთრეების ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას ან/და თანხმობას ან/და ყველა თანამესაკუთრის მიერ ხელმოწერილ თანხმობის დოკუმენტს, რომლის შინაარსისა და ხელმოწერების ნამდვილობაზეც პასუხისმგებელი იქნება დოკუმენტის წარმომდგენი
- საექსპერტო / აუდიტორული დასკვნა საჭიროების შემთხვევაში
- სასოფლო - სამეურნეო გაერთიანების შემთხვევაში
  - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან
  - წესდება / კრების ოქმი (ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ)

პროგრამის მიმართულებები

სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური და ტექნიკური საშუალებები

პროდუქციის წარმოება - შენახვა - გადამუშავება - შეფუთვა - რეალიზაციისათვის საჭირო მანქანა - დანადგარების შესყიდვა / მოწყობა;

საოჯახო მეურნეობისთვის დაფინანსდება მხოლოდ ერთი სახეობის და ერთი ერთეული სასოფლო - სამეურნეო ტექნიკა:

- საოჯახო მეურნეობისთვის - განმცხადებელს საკუთრებაში ან/და სარგებლობაში უნდა გააჩნდეს არანაკლებ 0,25 ჰა სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ი. თანადაფინანსების თანხა, ერთეულ საქონელზე შეადგენს საქონლის შესყიდვის საბაზისო ფასის 70%-ს, მაგრამ არანაკლებ 500.0 ლარს და არაუმეტეს 1,200.0 ლარს;
- სასოფლო სამეურნეო გაერთიანებებისთვის - განმცხადებელს საკუთრებაში ან/და სარგებლობაში უნდა გააჩნდეს ერთი ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში არანაკლებ 1,5 ჰა სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ი. თანადაფინანსების თანხა, ერთეულ საქონელზე შეადგენს საქონლის შესყიდვის საბაზისო ფასის 70%-ს, მაგრამ არანაკლებ 500.0 ლარს;
- განმცხადებელს, განაცხადის წარმოდგენის ეტაპზე თხილის სარჩევის, საკრეფისა და სატეხი დანადგარის მიმართულებით განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში უნდა გააჩნდეს არანაკლებ 0,5 ჰა სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ი, სადაც გაშენებულია თხილის ბაღი;
- სახლის ღვინისა და სპირტიანი სასმელების წარმოებისათვის საჭირო ინვენტარისა და დანადგარების შესყიდვა - მოწყობისთვის განმცხადებელს საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არანაკლებ 0.1 ჰა ფართობზე გაშენებული უნდა ჰქონდეს ვენახი. ამასთან, ერთეულ განაცხადზე / პროექტზე თანადაფინანსების ოდენობა შეადგენს არანაკლებ 500.0 ლარს და არ აღემატება 5,000.0 ლარს.

სამაცივრე დანადგარების შესყიდვა-მოწყობა;

კლიმატის შემქმნელი ენერგომატარებლების შესყიდვა - მოწყობა (ენერგიის ალტერნატიული წყაროების დანერგვა: ბიოგაზი, მზის პანელები და სხვა).

მცირეფასიანი საქონელი

საოჯახო მეურნეობისათვის - მცირეფასიანი საქონლის (თანადაფინანსების თანხის ოდენობა ნაკლებია 500.0 ლარზე), კერძოდ:

- სათიბი (საცელი) აპარატი
- შესაწამლი აპარატი
- ჯაჭვური ხერხი
- ყურძნის საწური

ტექნიკური საშუალებების შესყიდვის შემთხვევაში, განმცხადებელს საკუთრებაში ან/და სარგებლობაში უნდა გააჩნდეს არანაკლებ 0,10 ჰა სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ი, სადაც სამინისტროს თანადაფინანსების თანხა ერთეულ საქონელზე და განცხადებაზე შეადგენს საქონლის შესყიდვის საბაზისო ფასის 70%-ს, მაგრამ 500.0 ლარზე ნაკლებს;

მემცენარეობა

დაფინანსდება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, ბენეფიციარის საკუთრებაში / თანასაკუთრებაში / სარგებლობაში 0.1 ჰა-დან - 1.0 ჰა-მდე სასოფლო - სამეურნეო მიწის ფართობზე სასოფლო - სამეურნეო ბაღის მოწყობისა და მოვლისათვის საჭირო წარმოების საშუალებების შესყიდვა:

- მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ნერგები;
- აგროქსოვილი (მულჩიფირი / სამულჩე ქსოვილი);
- წვეთოვანი სარწყავი სისტემები, წყლის დაგროვების ავზები და საყრდენი ბოძები;
- სიცხისა და სეტყვისგან დამცავი საშუალებები.

მეცხოველეობა

დაფინანსდება სასოფლო - სამეურნეო წარმოება - შენახვა - გადამუშავება - შეფუთვა - რეალიზაციისათვის საჭირო რაოდენობის, მოცულობისა და სიმძლავრის საწარმოო საშუალებები

- ერთეულ განაცხადზე / პროექტზე მეფუტკრეობის კომპონენტის ფარგლებში თანადაფინანსების ოდენობა არ აღემატება 5,000.00 ლარს (გარდა სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებებისა)
- რძის გადამამუშავებელი სეპარატორის თანადაფინანსების ოდენობა ერთეულ საქონელზე შეადგეს, არაუმეტეს - 280.00 ლარს